ქუთაისის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ჯგუფების გენდერულ საჭიროებათა კვლევა ადგილობრივ ბიუჯეტში ინტეგრირებისათვის

კვლევა ჩატარდა ქალთა არასამთავრობო ორგანიზაცია ფონდი „სოხუმის“ დაკვეთით
პროექტის „გენდერული საკონსულტაციო საბჭოები - ქალთა როლის ამაღლება
რეგიონებში სოციალური ცვლილებებისთვის“ ფარგლებში

გაეროს ქალთა ორგანიზაციის გენდერული თანასწორობის ფონდის UN WOMEN
ფინანსური მხარდაჭერით

2016 წელი, მაისი

1. რეზიუმე

ქუთაისის მუნიციპალიტეტში ჩატარდა ადგილობრივ გენდერულ საჭიროებათა კვლევა, რომელმაც გამოკვეთა ქალთა სხვადასხვა ჯგუფის, შშმ პირების, ახალგაზრდების, დევნილების, სოციალურად დაუცველების და სხვა მოწყვლადი ჯგუფების სოციალური საჭიროებები, რომელთა ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინება აუცილებელია მათი სრულფასოვანი პიროვნული და საზოგადოებრივი მხარდაჭერისა და განვითარებისათვის.

კვლევის მონაწილეები თვლიან, რომ მეტი ჩართულობისათვის აუცილებელია საზოგადოების მეტად დაინტერესება და დანახვა იმისა, რომ მათი მეტი აქტიურობა, სხვადასხვა სოციალური ჯგუფის მიერ გამოთქმული მოსაზრებები და წინადადებები მეტად გახდის ადგილობრივ თვითმმართველობას პასუხისმგებელს მათ წინაშე. შესაბამისად, უკეთ იქნება მათი საჭიროებები ასახული და გათვალისწინებული ბიუჯეტში. საზოგადოების დასაინტერესებლად კი აუცილებელია ინფორმაციის მიწოდება მარტივი ენით და ყველასათვის ხელმისაწვდომი ფორმატით, მაგ. საინფორმაციო ბროშურებით. ასევე გარკვეული უკუკავშირი უნდა განხორციელდეს მერიის მხრიდან, რათა ქალებმა, ახალგაზრდებმა, შშმ პირებმა იგრძნონ თავი ჩართულად გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მიიღონ ინფორმაცია, მათ მიერ მომზადებული რეკომენდაციებიდან და წინადადებებიდან რა იქნა გათვალისწინებული, ასახული მომდევნო წლის ბიუჯეტის პროექტში.

მოქალაქეთა ჯგუფები მიიჩნევენ, რომ შეზღუდული არ არის ბიუჯეტირებაში მონაწილეობა, თუმცა სხვა საკითხია, რამდენად ხდება მოქალაქეებისგან მიღებული რეკომენდაციების შესრულება. ითქვა, რომ საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს საშუალება აქვს, მონაწილეობბა მიიღოს ბიუჯეტის განხილვაში. არსებობს მაგალითები, როცა ხდებოდა სოციალურად დაუცველი ჯგუფების ჩართულობა საჯარო განხილვებსა და პრიორიტეტების განსაზღვრაში, მაგრამ, ძირითადად, ეს იყო ფრაგმენტულად და რიგ შემთხვევებში სიმბოლურ ხასიათსაც ატარებდა (მაგალითად, მუნიციპალიტეტებში). ასეთი კომუნიკაცია კი უნდა გაგრძელდეს მთელი წლის მანძილზე და ასეთი ჯგუფები შეფასების პროცესშიც უნდა იყვნენ ჩართულები.

გამოიკვეთა შშმ პირების საჭიროებები. მიუხედავად იმისა, რომ თვითმმართველობა სისტემატიურად ახორციელებს მათი დახმარების ღონისძიებებს, მათი დასაქმების, სრულფასოვანი ინტეგრაციის გადაწყვეტილებამდე ჯერ კიდევ შორია.

გამოიკვეთა ქალების სხვადასხვა ჯგუფის საჭიროებები, განსაკუთრებით მათი დასაქმების, გრძელვადიანი პროგრამების კუთხით. თვითმმართველობის დღის

წესრიგში მოითხოვეს სკოლამდელი განათლების პედაგოგების და ტექნიკური პერსონალის ანაზღაურების გაზრდის საკითხი.

გამოჩნდა, რომ განსაკუთრებული საჭიროებები აქვთ ახალგაზრდებს, რომელთაც დაასახელეს კვალიფიციური სტაჟირების, შრომის პირობების დაცვის საჭიროება. ისინი ხედავენ გარკვეული ინსპექტირების ჯგუფის საჭიროებას, რაც შრომის კაბალური პირობების ფაქტებს გამოამზეურებს.

კვლევის მონაწილეებმა თვითმმართველობისგან პედაგოგების მიმართ წახალისების ღონისძიებების საჭიროება დაინახეს, რომელსაც ექნება არა იმდენად ეკონომიკური, რამდენადაც სოციალური ეფექტი.

კვლევის მონაწილეთა შეფასებით, ჯერ კიდევ არასაკმარისია ადგილობრივი ხელისუფლების, საზოგადოების და არასამთავრობო ორგანიზაციების ურთიერთთანამშრომლობა ოჯახში ძალადობის პროფილაქტიკისა და ძალადობის მსხვერპლთა დახმარების კუთხით. მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საჭიროდ მიაჩნიათ საზოგადოების გააქტიურება, შესაბამის სტრუქტურებთან მეტი განმარტებითი და საინფორმაციო მუშაობა, ასევე - მოძალადესთან მუშაობა.

პოზიტიური შეფასება აქვს საკითხს, რომ თვითმმართველობის სამსახურებში დაინერგა გენდერული მრჩევლის შტატი.

მიუხედავად ბიუჯეტის მკვეთრად გამოხატული გენდერული ხასიათისა, როგორც მოქალაქეები, ექსპერტები, ასევე - თვითმმართველობის წარმომადგენლები აღიარებენ, გენდერული პოლიტიკის მნიშვნელობა ბოლომდე გააზრებული არ არის და იმედს გამოთქვამენ, რომ ქუთაისის მუნიციპალიტეტი მომავალი წლის ბიუჯეტში მეტ პროგრამას შეიტანს და ფინანსურ მობილიზებას გაუკეთებს გენდერული საკითხების და მასთან დაკავშირებული მიზანმიმართული ღონისძიებების პრაქტიკაში დანერგვას.

2. ძირითადი ნაწილი

2.1. რაოდენობრივი კვლევა

ქუთაისის მუნიციპალიტეტში ჩატარებულ რაოდენობრივ კვლევაში მონაწილეობდა 200 რესპონდენტი. მათ შორის 83% ქალი, 17% კაცი. პირისპირ ინტერვიუს მეთოდით გამოიკითხა შემდეგი სოციალური ჯგუფები: ახალგაზრდები, სოციალურად დაუცველები, დევნილები, მრავალშვილიანი და მარტოხელა დედები.

გამოკითხულთა ასაკი იყო 16-დან 30 წლამდე - 41 %; 30-დან 50 წლამდე - 40%; 50-ს ზევით - 19%. ქალაქში მცხოვრები - 93%, სოფელში მცხოვრები - 7% (ყველა მათგანი არის სტუდენტი. ახალგაზრდების ჯგუფის 26%).

გამოკითხულთა 11% არის არასრული საშუალო განათლებით, 37% - საშუალო-პროფესიული, 17% - დაუმთავრებელი უმაღლესი, 35% - უმაღლესი განათლებით. ყველაზე მეტი უმაღლესი განათლებით იყო მრავალშვილიანი და მარტოხელა დედების ჯგუფში (54%) და დევნილების ჯგუფში (52%). ყველაზე ნაკლები უმაღლესი განათლების მქონე იყო სოციალურად დაუცველთა ჯგუფში - 8%.

კითხვას, გაქვთ თუ არა სტაბილური შემოსავალი - დადებითად უპასუხა გამოკითხულთა 47%-მა. უარყოფითად - 53%-მა. ყველაზე მეტად სტაბილური შემოსავალი დააფიქსირა მარტოხელა და მრავალშვილიანი დედების ჯგუფმა - 68%. ყველაზე ნაკლებად - სოციალურად დაუცველებმა -16%.

გამოკითხულებში ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი 200 ლარამდე ჰქონდა 47%-ს, 600 ლარამდე - 41%-ს, 600 ლარს ზევით - 12%-ს. მათ შორის 200 ლარამდე შემოსავალი აღნიშნა სოციალურად დაუცველების 64%-მა. შემოსავალი 600 ლარს ზევით მიუთითა ახალგაზრდების 20%-მა, დევნილები 14%, მარტოხელა და მრავალშვილიანი დედები - 14%, სოციალურად დაუცველები - 0%.

კითხვაზე, გაქვთ თუ არა სათანადო ინფორმაცია ადგილობრივი ბიუჯეტის პროგრამების შესახებ, პასუხი - „მაქვს სრული ინფორმაცია“ ჰქონდა გამოკითხულთა 15%-ს. ყველაზე ნაკლებად ინფორმირებული აღმოჩნდნენ სოციალურად დაუცველები - 2%; შედარებით უფრო ინფორმირებული - ახალგაზრდები, მარტოხელა და მრავალშვილიანი დედები, დევნილები (ყველა ჯგუფმა დააფიქსირა 9%).

პასუხი „მაქვს მწირი ინფორმაცია“ აირჩია 42%-მა (ახალგაზრდები - 54%, სოციალურად დაუცველები - 22%, მარტოხელა და მრავალშვილიანი დედები - 52%, დევნილები - 42%).

პასუხი „ინფორმაცია არ მაქვს“ ჰქონდა გამოკითხულთა 43%-ს. მათ რიცხვში სჭარბობდნენ სოციალურად დაუცველები - 74% და დევნილები - 40%.

გამოკითხულებმა შეაფასეს საზოგადოებასთან ადგილობრივი ხელისუფლების კომუნიკაციის ხარისხი. მას დამაკმაყოფილებლად მიიჩნევს რესპონდენტთა 16%. სხვებზე მეტად ეს პასუხი დაფიქსირდა ახალგაზრდებში (30%). სოციალურად დაუცველთა ჯგუფის არცერთი რესპონდენტი არ მიიჩნევს საკითხს დამაკმაყოფილებლად (0%).

პასუხი „არადამაკმაყოფილებელი“ აირჩია გამოკითხულთა 68%-მა. უფრო მეტად სოციალურად დაუცველებმა (96%). დევნილების 76%, მარტოხელა და მრავალშვილიანი დედების 56%, ახალგაზრდების 44% არადამაკმაყოფილებლად აფასებს საკითხს.

„მიჭირს პასუხის გაცემა“ გამოკითხულთა 16%-მა აირჩია. უფრო მეტად ახალგაზრდებმა (26%).

პირისპირ ინტერვიუს რესპონდენტებს საშუალება ჰქონდათ, შეეფასებინათ ადგილობრივი სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები. ეს პროგრამები დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა გამოკითხულთა 18%-ისთვის; ყველაზე ხშირად ახალგაზრდებისათვის 28%. ყველაზე ნაკლებად დევნილებისათვის (6%). არადამაკმაყოფილებელია გამოკითხულთა 62%-თვის. ყველაზე მეტად ხშირად ასე მიაჩნიათ სოციალურად დაუცველებს (82%) და დევნილებს (72%). ახალგაზრდებს - 42%, მარტოხელა და მრავალშვილიან დედებს - 50%.

პასუხის გაცემა გაუჭირდა გამოკითხულთა 20%-ს. (სოციალურად დაუცველები - 4%, ახალგაზრდები - 30%, დევნილები 22%, მარტოხელა და მრავალშვილიანი დედები - 24%).

გამოკითხულებმა პასუხი გასცეს კითხვას, რამდენად მნიშვნელოვანია ადგილობრივი ბიუჯეტის შედგენისას ქალებისა და კაცების (ასევე საზოგადოების სხვა სპეციფიკური ჯგუფების) პრობლემების თანაბარ დონეზე გათვალისწინება.

საკითხი ძალიან მნიშვნელოვნად მიიჩნია გამოკითხულთა 64%-მა. ყველაზე გამოკვეთილად მარტოხელა და მრავალშვილიანი დედების ჯგუფში - 88%, დევნილებში - 76% (ახალგაზრდების ჯგუფის 34%, სოციალურად დაუცველების 60%).

საკითხს მეტნაკლებად მნიშვნელოვნად თვლის გამოკითხულთა 19%. არ არის მნიშვნელოვანი რესპონდენტების 4%-თვის.

უჭირს პასუხის გაცემა მათ 13%-ს. ყველაზე ხშირად საკითხისადმი დამოკიდებულება არა აქვს ახალგაზრდების ჯგუფს - 36%. ყველაზე ნაკლებად - მარტოხელა და მრავალშვილიან დედებს - 2%.

რესპონდენტებს შესთავაზეს, დაესახელებინათ, ჩამოთვლილი სფეროებიდან დაფინანსების კუთხით რომელი უნდა იყოს პრიორიტეტული ადგილობრივ დონეზე. მათ შესაძლებლობა ჰქონდათ, აერჩიათ 3 მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი პასუხი.

„ჯანდაცვა“ აირჩია გამოკითხულთა 19%-მა. სოციალური დაცვა - 20%; განათლება - 20%; ეკონომიკური განვითარება - 20%; საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 10%; - ინფრასტრუქტურა - 11%.

ყველაზე ხშირად განათლების პრიორიტეტულობა დასახელებული იყო სოციალურად დაუცველების (94%), დევნილების (74%) და მარტოხელა და მრავალშვილიანი დედების (72%) ჯგუფში. ყველაზე ნაკლებად - ახალგაზრდების ჯგუფში (10%). ამ უკანასკნელმა უპირატესობა მიანიჭა სოციალურ დაცვას (90%) და ეკონომიკურ განვითარებას (78%).

ჯანდაცვის საკითხები ერთერთი უპირველესი საზრუნავი აღმოჩნდა დევნილთა (94%) და მარტოხელა და მრავალშვილიანი დედების ჯგუფებისთვის (ასევე 94%).

სოციალურ დაცვას პრიორიტეტად თვლის სოციალურად დაუცველი ჯგუფის 76%, დევნილების 50%, მარტოხელა და მრავალშვილიანი დედების 26%.

ეკონომიკური განვითარების პროგრამებს მიანიჭეს უპირატესობა სოციალურად დაუცველებბა (86%), ახალგაზრდებმა (78%), ყველაზე ნაკლებად - დევნილებმა (26%). საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება პრიორიტეტულ სფეროთა ჩამონათვალში დაასახელა მარტოხელა და მრავალშვილიანი დედების 50%-მა და დევნილების 42%-მა. პრიორიტეტულ სფეროდ ინფრასტრუქტურული პროგრამები დასახელდა ყველაზე მეტად ახალგაზრდების ჯგუფში - 86%. ყველაზე ნაკლებად ეს საკითხი მოიაზრა სოციალურად დაუცველთა ჯგუფმა 6%. სხვაზე ნაკლებად, ასევე, დევნილებმა - 20%.

რესპონდენტებს სთხოვეს აერჩიათ, ვისი საჭიროებების გათვალისწინება მიაჩნიათ უფრო მნიშვნელოვნად ადგილობრივ ბიუჯეტში. შესაძლებელი იყო 3 მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი კატეგორიის არჩევა.

„ახალგაზრდა ოჯახები“ აირჩია გამოკითხულთა 11%-მა; დევნილები -14%-მა; ორსული ქალები - 5%; მზრუნველობამოკლებული ბავშვები - 8%, სოციალურად დაუცველი ოჯახები - 20%; ეთნიკური უმცირესობები - 1%; ხანდაზმულები - 8%, შშმ პირები - 5%, მარტოხელა მშობლები - 5%; მცირე მეწარმეები - 0%; სტუდენტები - 5%; ოჯახში ძალადობის მსხვერპლები - 10 %; მრავალშვილიანი ოჯახები - 9%.

ახალგაზრდების ჯგუფი ყველაზე მეტად ზრუნვის საგნად მიიჩნევს სოციალურად დაუცველებს (პასუხების 30%), ოჯახში ძალადობის მსხვერპლებს (26%) და ორსულ ქალებს (14%). ყველაზე ნაკლებად - მცირე მეწარმეებს (1%).

სოციალურად დაუცველები მიიჩნევენ, რომ ზრუნვის საგანი უფრო მეტად უნდა იყოს სოციალურად დაუცველი ოჯახები (32%), დევნილები (29%). მათი ზრუნვის არეალში ვერ მოხვდნენ მცირე მეწარმეები და მარტოხელა მშობლები. ისინი ნაკლებად ხედავენ ეთნიკური უმცირესობების საჭიროებებს (2%), ასევე - ნაკლებად ძალადობის მსხვერპლების (2%) და სტუდენტების საჭიროებებს (3%).

მარტოხელა და მრავალშვილიანი ქალების აზრით, ყველაზე მეტად ზრუნვა სჭირდებათ მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს (20%), მრავალშვილიან ოჯახებს (ასევე 20%), მარტოხელა მშობლებს (13%) ხანდაზმულებს (13%).

დევნილები ყველაზე საშურად იძულებით გადაადგილებულ პირებზე ზრუნვას მიიჩნევენ (25%). მათი აზრით, ყურადღება სჭირდებათ, ასევე, ახალგაზრდა ოჯახებს (14%), სოციალურად დაუცველ ოჯახებს (12%), ხანდაზმულებს (11%). მათ ვერ დაინახეს ადგილობრივ დონეზე ეთნიკური უმცირესობების და მცირე მეწარმეების საჭიროებების გათვალისწინების აუცილებლობა (0%).

ყველაზე სასიცოცხლო საჭიროებებში, რომელიც აუცილებელია მათი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის, რესპონდენტებმა დაასახელეს 3 ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი:

ა) საბინაო პირობების გაუმჯობესება - 9%; დასაქმება - 26%; კვალიფიციური განათლების ხელმისაწვდომობა - 20%; ადგილობრივი სოციალური დახმარების პროგრამებში ინტეგრირება - 16%; შრომის პირობების დაცვა - 15%; ოჯახის წევრების მხარდაჭერა - 7%; ხელმისაწვდომი კრედიტები - 4%.

საბინაო პირობების გაუმჯობესება ყველაზე ხშირად აღნიშნული იყო დევნილთა ჯგუფის პასუხებში - 15%;

დასაქმების საჭიროება ყველაზე ხშირად დაასახელეს სოციალურად დაუცველებმა - (31%) და ახალგაზრდებმა (27%).

კვალიფიციური განათლების საჭიროებას ყველაზე ნაკლებად გრძნობენ დევნილები (13%). ყველაზე მეტად - სოციალურად დაუცველები (30%).

ადგილობრივ სოციალურ პროგრამებში ინტეგრირება ყველაზე მნიშვნელოვანია ახალგაზრდებისთვის (მათი 28%). შედარებით ნაკლებად დაინახეს ამ პროგრამების საჭიროება სოციალურად დაუცველთა ჯგუფში - 2%. ეს საკითხი საკმაოდ აქტუალურია დევნილთა ჯგუფისთვის (19%).

შრომის პირობების დაცვა დაასახელეს, როგორც სასიცოცხლო საჭიროება, ყველაზე ხშირად სოციალურად დაუცველებმა (21%) და მარტოხელა და მრავალშვილიანმა დედებმა (22%) .

ოჯახის წევრების მხარდაჭერა სჭირდება ყველაზე უფრო დევნილების ჯგუფს (13%).

ხელმისაწვდომი კრედიტების საჭიროება სხვაზე მეტად აქვთ დევნილებს და სოციალურად დაუცველებს (7%) რაც შეეხება ახალგაზრდების ჯგუფს, ამ საკითხისადმი გულგრილი არიან (0%).

გამოკითხულების პასუხებით ირკვევა, რომ მათი შენატანი ოჯახში უფრო ხშირად არის პროდუქტიული შრომა (43%), რეპროდუქტიული შრომა არის შენატანი 31%-თვის და შერეული - 26%-სთვის. პროდუქტიული შრომის წილი ყველაზე მეტი აქვთ ახალგაზრდების (70%) და მარტოხელა და მრავალშვილიანი დედების ჯგუფში (60%.)

კითხვას, **მიაჩნიათ თუ არა საჭიროდ არაანაზღაურებად სექტორში (რეპროდუქტიული შრომა - ბავშვების, მოხუცების, ავადმყოფების მოვლა, საოჯახო საქმიანობა) გაწეული საქმიანობის წახალისება ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან, გამოკითხულები ასეთი თანაფარდობით პასუხობენ.**

დიახ - 64%; არა - 19%; მიჭირს პასუხის გაცემა - 17%. ყველაზე ნაკლებად ამ საკითხის დადებითად უპასუხეს ახალგაზრდებმა (24%). ყველაზე ხშირად გამოხატეს პოზიტიური განწყობა სოციალურად დაუცველებმა (92%) და დევნილებმა (74%), მარტოხელა და მრავალშვილიანმა დედებმა (70%). ახალგაზრდების 56% პასუხობს, რომ არ მიაჩნია საჭიროდ ამ საკითხის წახალისება.

რესპონდენტებმა გამოხატეს თავიანთი დამოკიდებულება საკითხისადმი, რა უფრო შეუწყობს ხელს უმუშევრობის შემცირებას ქალებში.

მათი შეხედულებით, პირველადია სამუშაო ადგილების შექმნა (40%), შემდეგ - უფრო გამართული სოციალური ინფრასტრუქტურა - 21%, მცირე ბიზნესის განვითარების მუნიციპალური პროგრამები - 16%, დასაქმებისა და უმუშევრების დახმარების საინფორმაციო ცენტრები -11%; ადგილობრივი ტურიზმის განვითარება - 9%;

სამუშაო ადგილების შექმნა ყველაზე პრიორიტეტულია დევნილებისთვის (61%), ასევე სოციალურად დაუცველებისთვის (58%). ახალგაზრდების მხოლოდ 10%-ს მიაჩნია ეს საკითხი პრიორიტეტულად ქალებში უმუშევრობის შემცირებისთვის.

საბავშვო ბაღების სერვისის გაუმჯობესების საკითხს უფრო პრაგმატულად უყურებენ ახალგაზრდები (48%). ყველაზე ნაკლებად მიიჩნევენ აქტუალურად სოციალურად დაუცველები (2%). მცირე ბიზნესის განვითარების პროგრამების აუცილებლობას სხვებზე მეტად ხედავენ სოციალურად დაუცველები (24%). ახალგაზრდები - 16%, დევნილები - 16%, მარტოხელა და მრავალშვილიანი დედები -13%.

რესპონდენტები ასახელებენ ახალგაზრდების განათლებისა და განვითარების ხელშეწყობისათვის მნიშვნელოვან ღონისძიებებს, რაც, მათი აზრით, უნდა განხორციელდეს ადგილობრივ დონეზე.

ეროვნული გამოცდების შედეგად წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა - მუნიციპალური ვაუჩერი, სტიპენდია - 15%. დაუცველი ოჯახების სტუდენტების დაფინანსება დაასახელა მთლიანი გამოკითხულების 20%-მა; დღის ცენტრების გახსნა სოციალურად დაუცველი ოჯახების ახალგაზრდებისათვის - 9%; ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება - 24%. (პროგრამა ყველაზე მეტად სჭირდება ახალგაზრდების ჯგუფს (96%). პასუხი - ახალგაზრდა ოჯახების მხარდაჭერა - 12%;

კვალიფიციური სტაჟირების პროგრამების უზრუნველყოფა მნიშვნელოვანია გამოკითხულთა 19%-თვის. პასუხი „სხვა“ დაფიქსირდა 1%-ის შემთხვევაში.

რესპონდენტები ადგილობრივი მოსახლეობის ყველაზე მოწყვლადი ჯგუფების (დევნილები, შშმ პირები, მარტოხელა მშობლები, მრავალშვილიანი დედები, ახალგაზრდა ოჯახები და ა. შ.) სოციალური და სხვა საჭიროებების გაჟღერებისას წამყვანად ჩამოთვლილთაგან შემდეგ მხარეებს მიიჩნევენ:

მერია - 29% საკრებულო - 8%; არასამთავრობო სექტორი - 31%; მოქალაქეთა აქტიური ჯგუფები - 16%; მედია - 16%.

აღსანიშნავია, რომ გამოკითხულებში ერთნაირი დამოკიდებულებაა მერიის უფრო წამყვანი როლის მიმართ. განსაკუთრებით მარტოხელა და მრავალშვილიანი დედების ჯგუფში (53%). მათი მხოლოდ 5% მიიჩნევს წამყვან ფიგურად საკრებულოს.

არასამთავრობო სექტორის როლს ყველაზე მეტად აღიარებს სოციალურად დაუცველთა ჯგუფი - 42%. ახალგაზრდები - 30%, დევნილები - 31%, მარტოხელა და მრავალშვილიანი დედები - 22%.

აღსანიშნავია, რომ მოქალაქეთა აქტიური ჯგუფების წამყვან როლს აღიარებენ სოციალურად დაუცველების ჯგუფის 36%. ყველაზე ნაკლებად ხედავენ მათ როლს დევნილები (5%), მარტოხელა და მრავალშვილიანი დედები (ასევე - 5%).

პირისპირ ინტერვიუს რესპონდენტებმა განსაზღვრეს, ჩამოთვლილთაგან, რომელი სტრუქტურები მიაჩნიათ ყველაზე აქტიურად ჩართულად ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პროფილაქტიკის, ძალადობის აღკვეთის ღონისძიებებში. 3 ყველაზე მნიშვნელოვანი პასუხის არჩევის შემდეგ პასუხები ასე განაწილდა:

სოციალური მუშაკები - 15%; ძალოვანი სტრუქტურები (პოლიცია, პროკურატურა) – 16%; სასწავლო დაწესებულებები - 9%; ჯანდაცვის სტრუქტურები - 6%; არასამთავრობო ორგანიზაციები - 20%; ადგილობრივი ხელისუფლება - 12%; სახალხო დამცველი - 7%; მედია - 16%.

სოციალური მუშაკების როლს ყველაზე ნაკლებად ხედავს ახალგაზრდების ჯგუფი - 1%. ყველაზე მნიშვნელოვნად მიიჩნევენ დევნილები - 26%.

ძალოვანი სტრუქტურების როლს განსაკუთრებულად აღიარებენ სოციალურად დაუცველების ჯგუფში - 33%. ყველაზე ნაკლებად - ახალგაზრდებში - 3%.

სასწავლო დაწესებულებების როლი ვერ დაინახეს სოციალურად დაუცველების ჯგუფის რესპონდენტებმა (2%). ყველაზე ხშირად ამ სტრუქტურას ასახელებს დევნილების ჯგუფი (13%).

არასამთავრობო სექტორის როლს გამოყოფს ახალგაზრდების ჯგუფის 29% და სოციალურად დაუცველების 27%. ყველაზე ნაკლებად ხედავს მის როლს დევნილთა ჯგუფი (10%). სახალხო დამცველის როლს ყველაზე მეტად აღიარებს მარტოხელა და მრავალშვილიანი დედების ჯგუფი - 14%. ყველაზე ნაკლებად ახალგაზრდები - 3% და სოციალურად დაუცველები - ასევე 3%.

ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობა უმნიშვნელოვანესად მიაჩნია დევნილებს - 22%. ახალგაზრდებს - 16%, ყველაზე ნაკლებად - სოციალურად დაუცველებს (2%), მარტოხელა და მრავალშვილიანი დედების ჯგუფს (9%).

რესპონდენტებმა გამოკვეთეს მედიის როლი. ახალგაზრდები - 27%, სოციალურად დაუცველები - 23%, მარტოხელა და მრავალშვილიანი დედები - 10%. ყველაზე ნაკლებად ხედავს მის მნიშვნელობას დევნილთა ჯგუფი - 4%.

2.2. თვისებრივი კვლევა

თვისებრივი ინფორმაციის მოსაპოვებლად კვლევის ფარგლებში ჩატარდა 4 ფოკუს-ჯგუფი (რესპონდენტთა საერთო რაოდენობა - 34, ქალი - 25, მამაკაცი - 9) და 4 ჩაღრმავებული ინტერვიუ ადგილობრივ ექსპერტებთან (4 რესპონდენტი, 2 ქალი, 2 მამაკაცი). სულ თვისებრივ კვლევაში მონაწილეობდა 38 რესპონდენტი - 27 ქალი, 11 კაცი.

მიღებული ინფორმაციით გამოიკვეთა, თუ რამდენად გამჭვირვალეა საბიუჯეტო პროცესი.

კვლევის მონაწილეები მიიჩნევენ, რომ ბიუჯეტის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია. შესაძლებელია ინფორმაციის მიღება ადგილობრივი ტელევიზიებით: „რიონი“, „მეგა ტვ“, რადიო „ძველი ქალაქის“ საშუალებით.

ისინი თვლიან, რომ განსაკუთრებით ხელმისაწვდომია მასალები ინტერნეტში (მაგ. „საკანონმდებლო მაცნეში“). მათ გამოთქვეს სურვილი, მერიის ვებ-გვერდზე დადებული ადგილობრივი ბიუჯეტის მასალები იყოს როგორც ძველი, ასევე ახალი კოდიფიცირებული რედაქციით, რაც მარტივად მისცემთ მათი შედარების საშუალებას. თუმცა პრობლემად ისიც დასახელდა, რომ სწორედ დაინტერესების პრობლემაა, როგორც ახალგაზრდების, ასევე ზოგადად საზოგადოების მხრიდან.

ემატება ისიც, რომ ხშირ შემთხვევაში მასალები არ არის მარტივი, ყველასთვის გასაგები ენით დაწერილი, რაც კიდევ უფრო ქმნის დაბრკოლებას. ამიტომ მიაჩნიათ, რომ საჭიროა ხალხის გააქტიურების მიზნით დაიბეჭდოს და მოსახლეობაში გავრცელდეს „საინფორმაციო ბროშურები - საინფორმაციო გზამკვლევი“ ბიუჯეტის პარამეტრებით და საინტერესო პროგრამებით. ეს ძალაუნებურად გამოიწვევს მათ ინფორმირებულობას და მომავალში თავად გაუჩენთ სურვილს, ყოველწლიურად დაინტერესდნენ ქალაქის ბიუჯეტით და კონკრეტული პროგრამებით.

ასევე გამოითქვა სურვილი, აღდგეს მერიის მიერ დაფინანსებული ქუთაისის ენციკლოპედიის გამოცემა. გარკვეული რაოდენობით სასურველია ინფორმაციები დაიბეჭდოს მხედველობადაქვეითებულთათვის ბრაილის შრიფტითაც.

მოქალაქეთა ჯგუფები მიიჩნევენ, რომ შეზღუდული არ არის ბიუჯეტირებაში მონაწილეობა, თუმცა სხვა საკითხია, რამდენად ხდება მოქალაქეებისგან მიღებული რეკომენდაციების შესრულება. ითქვა, რომ საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს საშუალება აქვს, მონაწილეობბა მიიღოს ბიუჯეტის განხილვაში. არსებობს მაგალითები, როცა ხდებოდა სოციალურად დაუცველი ჯგუფების ჩართულობა საჯარო განხილვებსა და პრიორიტეტების განსაზღვრაში, მაგრამ, ძირითადად, ეს იყო ფრაგმენტულად და რიგ შემთხვევებში სიმბოლურ ხასიათსაც ატარებდა (მაგალითად,

მუნიციპალიტეტებში). ასეთი კომუნიკაცია უნდა გაგრძელდეს მთელი წლის მანძილზე და ასეთი ჯგუფები შეფასების პროცესშიც უნდა იყვნენ ჩართულები.

კვლევის მონაწილეთა ნაწილი მიიჩნევს, რომ თვითმმართველობა უფრო მეტად არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობს ამ კუთხით, თუმცა მოსწონთ პრაქტიკა, რომ მერიის შესაბამისი სამსახურები საზოგადოებას აბარებენ ანგარიშს ჩატარებულ *საქმიანობაზე. „ზოგჯერ ისე გადის მთელი წელი, მოსახლეობა ვერასდროს იგებს, როგორი იყო ბიუჯეტი, რას მოიცავს. მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციებს აბარებენ ანგარიშს, თუმცა, როგორც ვიცი, საკრებულოს სხდომაზე დასწრება ყველას შეუძლია, მაგრამ, არა მგონია, მოქალაქე ინტერესდებოდეს“. იყო ძალიან კრიტიკული დამოკიდებულებაც: „ბიუჯეტი ხალხის გარეშე დგება და და იქ არ არის ყველას ინტერესები თანაბრად გათვალისწინებული. ის არ არის მოქალაქეთა ინტერესებზე გათვლილი“.* მოწონებით სარგებლობს დამკვიდრებული პრაქტიკა, რომ ბოლო წლებში მერიის ყველა სამსახური აკეთებს საკუთარი პროგრამების პრეზენტაციას, რის შემდეგად პერიოდულად ანგარიშს აბარებენ ხალხს, რაც ძალიან კარგი ტენდენციაა.

ითქვა, რომ გამჭვირვალობა თითქოს არსებობს, ყველა ინფორმაცია ინტერნეტში დევს და შეგიძლია გაეცნო, ჩაერთო პროცესებში, მაგრამ თვითონ მოქალაქეებს არა აქვთ იმის კულტურა რომ ამ საკითხებში თავიდანვე იყვნენ ჩართულნი.

გაჟღერდა სურვილი, რომ კარგი იქნებოდა, მერიაში არსებობდეს სპეციალური მობილური ჯგუფი, რომელიც იმუშავებს იმაზე, რომ საზოგადოების ყველა ფენასთან ჰქონდეს კავშირი, კარგად იცნობდეს ცალკეული ჯგუფების საჭიროებებს, მათგან წამოსული წინადადებებით თუ რეკომენდაციებით ხდებოდეს ბიუჯეტის აგება, შესაბამისად ხდებოდეს ანგარიშგებაც.

კვლევის მონაწილეებმა დაასახელეს მათი აზრით თვითმმართველობის ყველაზე ეფექტური პროგრამები - საბინაო პროგრამა „კორპუსი“ და ინფრასტრუქტურული პროგრამები, რადგან აქ შედეგი უფრო გაზომვადია და საზოგადოების ძალიან დიდ ნაწილს ეხება. ასევე ეზოების, გადასასვლელების, გაზონების და გამყოფი ზოლების კეთილმოწყობა, გზების რეაბილიტაცია. მნიშვნელოვან საკითხად მიაჩნიათ მოქალაქეების ჩართულობის კუთხით ღია ფანჯრის სივრცის განხორციელება.

„ადგილობრივი პროგრამებიდან გამოვყოფდი ინფრასტრუქტურულ პროგრამებს. (ეზოების, სტადიონების, სადარბაზოების კეთილმოწყობა, ლიფტების შეკეთება და ა.შ). არის საკითხები, რომლებიც უფრო უნდა დაიხვეწოს, არ მოხდეს პროგრამების ,,გადაკვეთა“.

„პირადად მე შემეხო „ღარიბი ოჯახის“ პროგრამა, რომლის ფარგლებში სახლი გადამიხურა თვითმმართველობამ, ეს ძალიან კარგი პროგრამაა. წლების მანძილზე თავზე გვაწვიმდა, ფინანსურად ეს ძვირი სიამოვნებაა და ალბათ სახლი დაინგრეოდა, რომ არ გადაგვეხურა.“

აღნიშნული იყო, რომ, წინა წლების გამოცდილების გათვალისწინებით, 2016 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის და ახალი სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების შემუშავების დროს, პრიორიტეტი მიენიჭა ისეთი პროგრამების შემუშავებას, როდესაც დახმარების ფორმა მიზნობრივია და მკვეთრად განსაზღვრავს მოსარგებლე ბენეფიციართა კატეგორიებს. ცვლილებები ხორციელდება გასულ წელს მოქმედ სოციალურ პროგრამებში და იქმნება ახალი პროგრამები.

გამოიკვეთა ჯგუფები, რომელთაც, მიუხედავად განსაკუთრებული საჭიროებებისა, უჭირთ საკუთარი ინტერესების ადვოკატირება თვითმმართველობაში. მაგალითად - შშმ ჯგუფები. მათი სიტყვებით, მიზეზი იმისა, რომ ისინი აქტიურად ვერ ერთვებიან ბიუჯეტის პრიორიტეტების განსაზღვრაში, არის ინფორმაციის ნაკლებობა, მით უფრო უსინათლოებისა და ყრუ-მუნჯებისათვის, ვინაიდან ქალაქში არის ჟესტური ენის მცოდნე 2 სპეციალისტი, აქედან გამომდინარე, მონაწილეობის მიღების შანსი მცირეა. თუმცა აქვე აღნიშნავენ, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტს მერიის ახალგაზრდულ განყოფილებას ჰქონდა პროგრამა სპეციალური ჟესტური ენის პედაგოგების გადამზადებისთვის.

გამოიკვეთა შშმ პირთა საკითხები. ითქვა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის პირები ფართო ცნებაა და ბევრი პრობლემის მქონე ადამიანს, უსინათლოებს, ყრუ-მუნჯებს, მოძრაობა შეზღუდულებს მოიცავს, ამიტომ მათ ესაჭიროებათ ბიუჯეტში მათი პრობლემების ასახვა.

ითქვა, რომ ბიუჯეტში ჩადებულია კარგი პროგრამები შშმ პირთა მხარდაჭერისთვის. მთავარი - მერს ჰყავს მრჩეველი შშმ პირთა საკითხებში. ხდება ზაფხულში ურეკში დასვენება, შშმ-თა დღის აღნიშვნა და საჩუქრების გადაცემა და ა. შ., მაგრამ არის უამრავი მოსაგვარებელი საკითხი) ბევრ კორპუსს ლიფტი არ აქვს, ამას გარდა ტრანსპორტი არ არის ადაპტირებული შშმ პირებისათვის, არ არის ადაპტირებული ტაქსიც კი.

„ძალიან კარგი იქნება, თუ ეს ადამიანები დასაქმდებიან, ნებისმიერ მათგანს შეუძლია მუშაობა, ზოგი სამკერვალო ფაბრიკაში იარლიყს დააკრავს პროდუქციას, ზოგიც წუნმდებლად იმუშავებს, მე ამ ადამიანებს კერვას ვასწავლი, საკმაოდ პროფესიონალურად კერავენ, კარგი იქნება, თუ ამ ადამიანების ხელით შექმნილი ნაწარმის გამოფენა მოეწყობა, ხელისუფლება თუ დააფინანსებს ამ გამოფენას. ესეც ერთი ნაბიჯი იქნება საზოგადოებასთან ადაპტირებისაკენ. ძალიან კარგი იქნება, ხელისუფლებამ, რომ დაავალოს არსებულ ფაბრიკებს, უნარშეზღუდულების დასაქმება.“

„დაგვიფინანსეს ლიფტის შეკეთება, რადგან მე ვარ უნარშეზღუდული და მიჭირს დამოუკიდებლად გადაადგილება. მაგრამ ლიფტი უნდა იყოს ისეთი, რომ იქ მოთავსდეს ინვალიდის ეტლი. ეს პროგრამა კარგია, თუმცა თუ ამ მხრივ დაიხვეწება, უკეთესი იქნება.“

„როგორც ვიცით, რამდენიმე ადგილზე გაკეთდა პანდუსი, პანდუსი გაუკეთდა ჩვენი ასოციაციის ოფისსაც, ეს კარგია, თუმცა დახვეწას მაინც საჭიროებს. ის უნდა შეესაბამებოდეს უნივერსალურ დიზაინს, შშმ პირთა კონვენციის 31-ე მუხლს. ეტლით მოსარგებლეს დახმარება არ უნდა სჭირდებოდეს. პანდუსით უნდა ისარგებლოს ეტლს მიჯაჭვულმაც და უსინათლომაც, შენობებში საპირფარეშოც უნდა იყოს ადაპტირებული.“

ითქვა, რომ ჯერ კიდევ საჭიროა ბევრი მუშაობა, რადგან არ არსებობს ადაპტირებული ტრანსპორტი, პანდუსები განსაკუთრებით უნდა მოეწყოს ბანკებთან და აფთიაქებთან, ეს ჩვენ სოციალურ მდგომარეობას ძალიან წაადგება

შშმ პირები გულისტკივილით აცხადებენ, რომ, მიუხედავად სურვილისა, არ შეუძლიათ მანქანის მართვის სწავლა, რადგან ავტოსკოლებში არ არის სპეციალური ავტომანქანა.

ისინი მოხარული იქნებიან, თუ დაინერგება შინმოვლის პროგრამები: *„მე მოხარული ვიქნები, თუ ადგილობრივ ბიუჯეტში გაითვალისწინებენ ჩვენი კატეგორიის ადამიანებისათვის დამხმარის აყვანას, ეს ერთგვარი სამსახურიც იქნება და ასევე ჩვენ შეგვიმსუბუქებს ყოფას, დღეში 2 საათიც რომ მოგვეხმაროს, დიდი შეღავათი იქნება ჩვენთვის. ყოველთვის სხვას ვერ შეაწუხებ.“*

„როგორც ვიცი, ქალაქში მონტაჟდება ხმოვანი შუქნიშნები, ეს ძალიან კარგი იქნება უსინათლოებისათვის. კარგი ჟესტია ისიც, რომ გამოიყო პარკირების ადგილზე სპეციალური სადგომი უნარშეზრუდულებისათვის.“

მოქალაქეებს აწუხებთ სანიაღვრე სისტემების მოგვარება ქალაქში. განსაკუთრებით ზაფხულის პერიოდში, *„ახლა მითუმეტეს ხშირად არის წვიმები და სანიაღვრე არხები დიდ პრობლემას წარმოადგენს. ეს პრიორიტეტი კარგად უნდა იქნეს გამოყოფილი და დანახული. მისი მოგვარება აუცილებელია ქალაქისთვის და მოქალაქეებისთვის“.*

მოქალაქეებს ჰქონდათ კითხვები რიგი პროგრამების ეფექტურობასთან დაკავშირებით.

„არა მგონია, სწორად ნაწილდებოდეს თანხები. არ მესმის, ყოველ წელიწადს რატომ აგებენ გზას, რატომ არა აქვს მას სამწლიანი გარანტია მაინც, ან რატომ ცვლიან მუდმივად მილებს. ხალხს ეს პროცესი ძალიან აღიზიანებს, იმდენი მშიერი ხალხი ცხოვრობს ქალაქში და ბიუჯეტი უფრო ეფექტურად უნდა იხარჯებოდეს“.

„რაც შეეხება ჯანდაცვის სფეროში განხორციელებულ ღონისძიებებს, აქაც არის გარკვეული პრობლემები და კითხვები მაგ. რამდენად ეფექტურია სკოლის მოსწავლეების გამოკვლევები? არის თუ არა მომსახურების ხარისხზე ორიენტირებული ტენდერში გამარჯვებული კომპანიები? ამ კითხვების მიუხედავად აღნიშნული სფერო მაინც ეფექტურია, რადგან „მოთხოვნაა“ მაღალი“.

მოქალაქეებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ქალაქში საინფორმაციო ნიშნების დამონტაჟება, რაც ტურისტებისათვის დამატებითი კომფორტია გადაადგილების მიმართულების განსასაზღვრად. ტურისტების რაოდენობა კი ახალი დასაქმებული მუშახელია. ასევე მოიწონეს სიჩქარის შემაფერხებელი ბარიერების მონტაჟის

გაგრძელება და იმედი გამოთქვეს, რომ ასევე მოხდება ძველი, დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა.

ქალებისათვის მნიშვნელოვან პრობლემად რჩება ბაზრების მიმდებარე ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის და ჰიგიენის პრობლემა. მართალია, დასუფთავების საკითხში დაფიქსირდა დადებითი ტენდენციები, მაგრამ გამოიკვეთა, რომ ქალაქში არსებობს პრივილეგირებული და არაპრივილეგირებული ქუჩები, საიდანაც სხვადასხვა პერიოდულობით ხდება ნარჩენების გატანა. ზოგიერთი ქუჩის დასუფთავება სამაგალითოა, თუმცა არის ქუჩები სადაც ხანგრძლივადაა ურნა დაუცლელი, რაც გარკვეულ დისკომფორტს უქმნის მოსახლეობას.

გამოიკვეთა დევნილების საჭიროებები: სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების თვალსაზრისით დასახელდა დევნილების ის კატეგორია, რომელთაც ქალაქში უკვე გადაცემული აქვთ ბინები საკუთრებაში და გამოითქვა სურვილი, რომ ადგილობრივ ბიუჯეტში მაინც იქნას მათთვის გარკვეული სოციალური პაკეტი გათვალისწინებული, მსგავსად თბილისის ბიუჯეტისა.

ყველაფრის საწყის პრობლემად დასახელდა უმუშევრობა და სხვა ბევრჯერ აღნიშნულ მიდგომებთან ერთად თვითმმართველობის როლი დაინახეს იმაში, რომ შეიქმნას საინფორმაციო ბაზები პროფესიული ნიშნით. ასევე განხორციელდეს დასაქმების ფორუმები, რეგულარულად მოხდეს შეხვედრები ბიზნესმენებთან და აღდგეს სტუდენტური დასაქმების პროგრამები.

მოქალაქეები მიესალმებიან ქუთაისის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიას - 2020. აღნიშნეს, რომ ამ დოკუმენტის მიღება კიდევ უფრო ეფექტურს გახდის ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირებისა და ხარჯვის ნაწილს, რადგან ეს გარანტიაა იმისა, რომ გრძელვადიანი პერსპექტივები ეტაპობრივად გათვალისწინებული იქნება ბიუჯეტში.

გამოსავლის სახით საუბარი იყო სოციალური საწარმოების გახსნაზე. ხშირად ჟღერდა აზრი, რომ გზები უნდა გამოინახოს ბიზნესის დასაინტერესებლად, რომ მათაც თავიანთი წვლილი შეიტანონ ძალადობის მსხვერპლის რეაბილიტაციისათვის.

საუბარი შეეხო სტუდენტურ საჭიროებებს. ხაზი გაესვა სრულფასოვანი განათლების მიღების აუცილებლობას. ახალგაზრდები ნათლად ხედავენ, რომ თეორიულ ცოდნას აუცილებად თან უნდა სდევდეს პრაქტიკა, რისი განხორციელების საშუალებასაც მათ ქალაქში არ გააჩნიათ. ნაკლებად ფლობენ ინფორმაციას გაცვლითი პრიოგრამების შესახებ. ასევე გულისწყვეტით აღნიშნეს წარმატებული სტუდენტებისათვის ქალაქის მერის მიერ დაწესებული სტიპენდიის პროგრამის შესახებ ინფორმაციის დაგვიანებით მიღება. *„ხშირად გვიწევს ისეთ გასაუბრებეზე გასვლა, სადაც რეალური ვაკანსია არ არსებობს, ზოგჯერ სხვა ქალაქშიც გაუვლიათ სტაჟირება და ბოლოს აღმოჩნდა, რომ კონკრეტულ ორგანიზაციას აღნიშნული თანამშრომლის ვაკანსია არა აქვს“.*

არის ორგანიზაციები, სადაც გამუშავებენ გამოსაცდელი ვადით და მერე პირობების შეცვლის მიზეზებით ძირითად შტატში არავინ აჰყავთ, ფაქტობრივად ტრეფიკინგის მსხვერპლები არიან. ამისათვის უნდა არსებობდეს რაიმე ინსპექტირების ჯგუფი, რომელიც პერიოდულად შეამოწმებს ვაკანსიების არსებობის სიცხადეს და შეისწავლის შრომის სამართლის დარღვევის შემთხვევებს.“

სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მათთვის გაცემული ID ბარათები არანაირ დამატებით შეღავათებს არ უწესებს ახალგაზრდებს, მაშინ, როცა ის შეიძლება გამოყენებული იქნას სხვადასხვა კუთხით, მაგ. ტრანსპორტში, მუზეუმებში, სხვადასხვა კულტურულ დაწესებულებაში და ა. შ. აქაც გამოიკვეთა ბიზნესის წახალისება და დაინტერესება, რომ მათ სტუდენტები ჩართონ თავიანთ საქმიანობაში. იყოს სტუდენტობის დროს ნახევარგანაკვეთით მუშაობის საშუალება. საინტერესო აქტივობად დასახელდა დასაქმების ფორუმები. ისურვეს, რომ განახლდეს ე.წ. „Summer job“.

ითქვა, რომ დამატებითი შემოსავლის მოძიების საშუალება არსებობდეს ახალგაზრდებისთვის, სტუდენტებისთვის. *„პრობლემაა ის, რომ იმ სპეციალობით განვითარების საშუალება ხშირ შემთხვევაში არ არის, ისინიც კი, ვინც დასაქმებულია, სამუშაოს პოულობენ არა სპეციალობით. მაგ. იურისტებმა დაიწყეს ბანკებში კრედიტ ოფიცრებად მუშაობა. ისინი მთლიანად მოწყდნენ იურისპრუდენციას. ვიცი კონკრეტული მაგალითები სწავლის პერიოდში პრეზიდენტის სტიპენდიანტები იყვნენ და ვინაიდან სხვა სფეროში იპოვეს სამსახური, საერთოდ მოწყდნენ საკუთარ პროფესიებს“.*

ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვნად დასახელდა სპორტული აქტივობები. მიესალმებიან უბნების მიხედვით სპორტული შეჯიბრებების მოწყობას, მაგრამ აღნიშნეს, რომ მათ ჯერჯერობით საკმაოდ არაორგანიზებული სახე აქვს და საუბარი იყო ხარვეზებზე. მაგალითად, არ აქვთ ადგილი, სადაც შეჯიბრებებისთვის მოემზადებიან, ტურნირები ტარდებოდა არაკომფორმტულ გარემოში (გარდა ფინალისა), არ იყო მოხალისეთა არანაირი, თუნდაც სიმბოლური წახალისება (გაიცა მხოლოდ დიპლომები). აღნიშნულ ფოკუს-ჯგუფზე დასახელდა მეკლდეურთა პრობლემა - სავარჯიშოდ ხელოვნური კედლის არსებობის აუცილებლობა.

კვლევის მონაწილებმა გულისტკივილით აღნიშნეს ხანდაზმულთა პრობლემების თაობაზე. *„უპატრონო მოხუცებისთვის ამხელა ქალაქში რამდენიმე თავშესაფარი უნდა შეიქმნას, არის ამის მოთხოვნა და როგორმე უნდა დავეხმაროთ ამ ადამიანებს, თუნდაც მცირედით“.*

ითქვა, რომ ცუდი მდგომარეობაა მაწანწალა ბავშვების მხრივ. *„ქუჩაში ამდენი ხელგამოწვდილი ბავშვი არ უნდა იყოს, კარგი იქნებოდა სპეციალური სახლი, თავისი პროგრამებით ამ ბავშვებისათვის. იქნებ ვინმემ ამაზეც იფიქროს“.*

დასახელდა ეკოლოგიური საკითხები. *მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ქალაქის გამწვანებას, ბავშვებისთვის სასეირნო ადგილები ძალიან ცოტაა. ეს ყველაზე მეტად გვჭირდება. ეზოებში გამწვანების პროგრამები უნდა ამუშავდეს, ჰაერი არა გვაქვს, ჩვენი შვილების ჯანმრთელობაზე ხომ უნდა ვიფიქროთ?"*

ქალებმა დაასახელეს მათთვის კიდევ ერთი საშიშროება - ქუჩებში თავისუფლად მოსეირნე უპატრონო ძაღლები. *„ხშირად ეს ძაღლები აცრილი არ არიან და ხიფათი ნებისმიერი ასაკის ადამიანს ექმნება. აცრილებიც კი ძალიან აგრესიულები არიან იმის გამო, რომ შიათ".*

კვლევის მონაწილეები თვლიან, რომ ყველა საკითხში გათვალისწინებული უნდა იქნეს პედაგოგების, ინტელიგენციის ნაწილის - კერძოდ, პრაქტიკოსების აზრები და რჩევები. ასევე - პედაგოგებისთვის რამე წამახალისებელი პროგრამები უნდა არსებობდეს. *„მე პედაგოგი ვარ და ვფიქრობ, რომ პედაგოგების ძირითადი საჭიროებაა კვალიფიკაციის ამაღლება. მართალია, განათლების სამინისტროს მიერ იგეგმება და მასწავლებელთა სახლის ორგანიზებით ტარდება ტრენინგები, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. იქნებ მერიის ბიუჯეტშიც ჩაიდოს პედაგოგთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები/ტრენინგები".*

კრიტიკული განწყობა იყო სკოლამდელი დაწესებულებების პედაგოგების ანაზღაურებასთან დაკავშირებით. *„ძალიან მცირეა ის ხელფასები, რომლებიც ბაგა-ბაღებშია. არ არსებობს არანაირი მოტივაცია, პედაგოგმა მაქსიმუმი გაიღოს თავდაუზოგავად იმუშაოს. ჩემი აზრით, ადგილობრივი ბიუჯეტის შედგენისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ბაგა-ბაღების აღმზრდელებისა და მომვლელების ხელფასების გაზრდა. არ არის სათანადოდ შეფასებული მათი ღვაწლი. მერე არ უნდა გაგვიკვირდეს, რატომ მიდიან ქალები უცხოეთში".*

პედაგოგები წუხილს გამოთქვამენიმის გამო, რომ მომრავლდა მოსწავლეებში სქოლიოზის პრობლემა, მხედველობის პრობლემა, რასაც აუცილებლად უნდა მიექცეს ყურადღება.

გრძელვადიანი განვითარების პერსპექტივებზე საუბრისას კვლევის მონაწილეები აღნიშნავენ, რომ უნდა შეიქმნას გადამზადების პროგრამები და ადგილობრივ ბიუჯეტში უნდა ჩაიდოს ამისთვის თანხები, რათა მეორადი პროფესიები ქონდეთ ადამიანებს. ამ პროგრამების პარალელურად კი არსებობდეს მცირე ბიზნესის ხელისშემწყობი პროგრამები, რომელიც დაეხმარება მოქალაქეებს, გახსნან სხვადასხვა ტიპის საწარმოები და ეკონომიკური შემოსავალი გაუჩნდეს ოჯახებს. *„კარგი გარემო მცირე ბიზნესის დასწყებად - კარგი დახმარება იქნება". „არა მაქვს საწყისი კაპიტალი ბიზნესის დასაწყებად, ადგილობრივი მთავრობა ამ საკითხით უფრო უნდა იყოს დაინტერესებული, რამე პროგრამები ახალი საქმის დასაწყებად აუცილებელია."*

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ადგილობრივ დონეზე უმუშევრობის შემცირება ქალებში შეიძლება მოხდეს შემდეგნაირად: მოსახლეობის კვლევის შედეგად, რაც დაეფუძნება

პრობლემებისა და საჭიროებების ანალიზს, შეიძლება შეიქმნას ისეთი „ააიპ“-ები , სადაც ძირითადად ქალები იქნებიან დასაქმებული, ადგილობრივი ბიზნესის ხელშეწყობა და განვითარება ამ კუთხით, როგორებიცაა: სამკერვალოები, ხალხური რეწვის ტრადიციების აღორძინების ხელშეწყობა და ამ მიზნით ისეთი მიმართულებების დანერგვა და განვითარება, როგორებიცაა თექის დამუშავება და მასზე მუშაობა, ტურისტული ბიზნესის განვითარების კუთხით სხვადასხვა ხელნაკეთი საჩუქრის დამზადება, სამკაულების მინანქრით დამუშავება, სასტუმროებში ადმინისტრაციულ და სამედიცინო-გამაჯანსაღებელ პერსონალში ქალების ჩართულობა.

მოქალაქეები თვლიან, რომ საჭიროა „ტურიზმის განვითარებისა და ბიზნესის მხარდამჭერი პროგრამები. ქუთაისს აქვს იმის პოტენციალი და შესაბამისი რესურსები, რომ ამ მიმართულებით განვითარდეს, რაც ხელს შეუწყობს ახალი შემოსავლების გაჩენას“. „უნდა მოწესრიგდეს საგზაო მოძრაობა. სერიოზულად უნდა მიხედონ ზებრა გადასასვლელების მოწესრიგებას, ამდენი ავარიული შემთხვევები არ უნდა არსებობდეს ქალაქში. მისახედია ქალაქის გამწვანება და უსახური მშენებლობებისა და მიშენება-დაშენების საკითხები (განსაკუთრებით ქალაქის ისეთ ნაწილებში, სადაც ტურისტები მოძრაობენ)“.

სპეციალისტებმა, თვითონ კვლევის ჯგუფების მონაწილეებმა გამოთქვეს სურვილი, ყოველწლიურად ხდებოდეს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის რაოდენობის შემცირება მათი დასაქმების ხარჯზე. საჭიროა სტრატეგიის შემუშავება აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად.

მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა - ამ კუთხით ქმედითი ნაბიჯების გადადგმა ჯერჯერობით მაინც ვერ მოხერხდა. მართალია, არის ერთეული მაგალითები მეწარმეების ქვეყნის გარეთ გამართულ გამოფენებში მონაწილეობისა, მაგრამ ეს იმდენად ფრაგმენტულ ხასიათს ატარებს, რომ ერთიანობაში გავლენას ვერ ახდენს ბიზნესის განვითარებაზე. მნიშვნელოვანია, შეიქმნას ბიზნესის მხარდამჭერი ცენტრ(ებ)ი, როგორებიც ადაპტირებულია მსოფლიოს ბევრ მოწინავე ქვეყანაში. მართალია, ეს თემა ფედერალურია, მაგრამ ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა შეძლოს პირველ რიგში თემის ინიცირება, ლობირება და თანამონაწილეობა როგორც ცენტრალური ხელისუფლების, ასევე საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების დონეზე.

გამოითქვა მოსაზრება, რომ ქალაქმა უნდა უზრუნველყოს გრძელვადიანი, სიცოცხლისუნარიანი და გემოვნებიანი კულტურული პროგრამები. როგორებიცაა, მაგალითად: საგამოფენო სივრცეების ორგანიზება, გამოფენების, კონკურსების, ფესტივალების, ფოლკლორული საღამოების ისეთ დონეზე მოწყობა, რაც ხელს

შეუწყობს ქალაქის იმიჯის დამკვიდრებას. ეს ყველაფერი, ტურიზმის განვითარებასთან ერთად, შეანელებს ქალაქიდან ნიჭიერი, შემოქმედი ახალგაზრდების გადინებასაც.
კვლევის დროს გამოიკვეთა განწყობა, რომ ნამდვილად არ უნდა იყოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამოსასწორებლად ერთჯერადი ღონისძიებები. იმიტომ, რომ ქვეყანამ, ქალაქმა სისტემატიურად უნდა იზრუნოს თავისი მოსახლეობის ინტერესების, ეკონომიკურ-სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე და ეს უნდა იყოს გრძელვადიანი, რამდენიმე წელზე გათვლილი. *„ერთს დავამატებდი, ძალიან კარგია გრძელვადიანი პერსპექტივების ღონისძიებების განხორციელება, მაგრამ მე მაინც გამოსავალს ვხედავ იმაში, რომ ხდებოდეს ახალგაზრდების, ნებისმიერი ასაკის ადამიანის პროფესიონალურ დონეზე გადამზადება და მათი დასაქმება“.*

„საინტერესო იქნებოდა სტუდენტი-ახალგაზრდობის სეზონური დასაქმების პროგრამები სკოლამდელი აღზრდის პროგრამები - დამატებითი სივრცეების/ახალი ფართების მოწყობაზე, რაც შესაძლებელს გახდის, უფრო მეტმა ოჯახმა ისარგებლოს სკოლამდელი აღზრდის სერვისით. ეს კი მნიშვნელოვანია, როგორც აღსაზრდელების შემდგომი განვითარებისთვის, ასევე ხელს უწყობს მათი მშობლების საზოგადოებრივ პროცესებში მეტ ჩართულობას“.
ინვესტიციების მოზიდვა და ისეთი საწარმოების შექმნა, რომლებიც აღნიშნულ პრობლემას მოგვიგვარებდა. თუ წარსულს გადავხედავთ ქ. ქუთაისი ძლიერი იყო, როდესაც ფუნქციონირებდა საწარმოები. ასევე კარგი იქნება სოციალური მეწარმეობის მხარდაჭერა. ისეთი სპეციფიკური ჯგუფებისათვის, როგორიცაა სოციალურად დაუცველი დიასახლისები და შშმ პირები, დევნილები, რაც წარმატებით დანერგვა-განხორციელების შემთხვევაში სოციალური ხარჯების შემცირებასა და დასაქმების ზრდას შეუწყობდა ხელს.
კვლევის პროცესში გამოვლინდა, რომ გენდერული განათლების, გენდერული მიდგომების დეფიციტი ქუთაისის სამოქალაქო საზოგადოებაშიც იგრძნობა და თვითმმართველობაც აღიარებს ამ კუთხით მუშაობის აუცილებლობას.
„ვფიქრობ, ის ფაქტი, რომ ტერმინი „გენდერული ბიუჯეტი“ არ არის საზოგადოებისთვის ცნობილი და გასაგები, მიუთითებს იმაზეც, რომ პრაქტიკაში გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტის დამკვიდრება ნაკლებად ხორციელდება“.
„გენდერულად მგრძნობიე ბიუჯეტის პრაქტიკა, შეიძლება ითქვას, თითქმის არ არსებობს. თუმცა არის პროგრამები, რომლებიც პასუხობს გენდერულ საკითხებს, მეტი ინფორმაცია და განათლება სჭირდებათ საჯარო მოხელეებს ამასთან დაკავშირებით“.
„გვესმის, რომ ბიუჯეტი გათვლილი უნდა იყოს ადგილობრივი მოსახლეობის იმ ფენაზე, რომელიც უფრო მეტად საჭიროებს დახმარებას, ეს იქნება მარტოხელა დედები, მრავალშვილიანი, მარტოხელა არა მარტო დედები, თქვენ წარმოიდგინეთ ქალაქში და ქვეყანაში მარტოხელა მამებიც მომრავლდნენ. უმუშევრობამ გამოიწვია ის, რომ,

ძირითადად, მამაკაცები არ არიან იმდენად დასაქმებული, ამას ხელს უწყობს ისიც, რომ არ არიან პროფესიონალები და გადინება ხდება ქვეყნიდან და ქალაქიდან. ამ მიდგომებს უნდა სერიოზული, გაცნობიერებული გააზრება".

გენდერულად მგრძნობიარე საკითხებიდან განსაკუთრებით იქნა გამოყოფილი ოჯახში ძალადობის პრობლემა. *„ოჯახში ძალადობა არის ერთ-ერთი, რომ იტყვიან, „აქილევსის ქუსლი". ამიტომ არის საჭირო ბევრი ტრენინგის, შეხვედრის, ღონისძიების, აქტივობის განხორციელება, რომ არ იყოს ოჯახში მოძალადე".*

„მივესალმები იმას, რომ ქალებისთვის მეტი პროგრამები არსებობდეს, თუ ქალს კომფორტი აქვს, იქ ოჯახი კომფორტულად არის, ამიტომ ამ მიმართულებით ადგილობრივი ხელისუფლება სწორად არის ორიენტირებული და მომავალი წლის ბიუჯეტს უფრო დაეტყობა".

მიუხედავად მრავალი ახალი პროგრამისა, რომელიც თანაბარ პირობებში აყენებს ქალისა და მამაკაცის პრობლემებს, კვლევის მონაწილეთ ააზრით, მომავალში მეტი ფინანსური მობილიზებაა საჭირო ბიუჯეტში გენდერული პარამეტრების უზრუნველყოფის მიმართულებით. კონკრეტულად - ოჯახური ძალადობის მსხვერპლ ქალთათვის ფსიქორეაბილიტაციის მიზნით, ფსიქოლოგების ჩართულობა და მათი დაფინანსება. ამ კატეგორიის ქალბატონთათვის დროებითი საცხოვრისის უზრუნველყოფა, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში სადისკუსიო კლუბების შექმნა და სხვა.

ბევრი მიიჩნევს, რომ გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტის პრაქტიკის დამკვიდრება დროულიცაა და აუცილებელიც. იმის მიხედვით, თუ როგორაა ბიუჯეტის პროგრამები შედგენილი, შეგვიძლია ვთქვათ, იგი გენდერული ბიუჯეტია, თუ არა. ვფიქრობთ, ადგილობრივ ბიუჯეტში გათვალისწინებულია საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის ინტერესები (ბიუჯეტის დაგეგვმის პროცესში მოსახლეობასთან თანამშრომლობისა და კონტაქტის საფუძველზე), მაგრამ საჭიროა, უფრო მკვეთრად იყოს განსაზღვრული პრიორიტეტები, რათა საბოლოოდ დაკმაყოფილებულ იქნას თითოეული საზოგადოებრივი ჯგუფის ინტერესი.

რეკომენდაციები

- მოქალაქეთა სოციალური ჯგუფებისათვის ბიუჯეტის პროექტები მიწოდებულ იქნეს ბუკლეტების სახით.
- მოქალაქეების გააქტიურების მიზნით დაიბეჭდოს და მოსახლეობაში გავრცელდეს საინფორმაციო ბროშურები - საინფორმაციო გზამკვლევი ბიუჯეტის პარამეტრებით და საინტერესო პროგრამებით.
- შეიქმნას საინფორმაციო ბაზები პროფესიული ნიშნით. ასევე განხორციელდეს დასაქმების ფორუმები, რეგულარულად მოხდეს შეხვედრები ბიზნესმენებთან და შემუშავდეს სტუდენტური დასაქმების პროგრამები.
- სანიაღვრე სისტემების მოგვარება ქალაქში.
- შშმ პირებისათვის სპეციალური ავტომანქანის შეძენა, მანქანის მართვის სწავლისთვის ავტოსკოლებში, სათანადო სპეციალისტების უზრუნველყოფა.
- ზრუნვა გრძელვადიან, სიცოცხლისუნარიან და გემოვნებიან კულტურულ პროგრამებზე. როგორებიცაა, მაგალითად: საგამოფენო სივრცეების ორგანიზება, გამოფენების, კონკურსების, ფესტივალების, ფოლკლორული საღამოების ორგანიზება.
- ადგილზე გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტის პრაქტიკის დამკვიდრება. გენდერული მრჩევლის ინსტიტუტის განვითარება, გენდერული განათლების ხელშეწყობა.
- ქალებისთვის ეკონომიკური განვითარების პროგრმების ხელშეწყობა (სამკერვალოები, ხალხური რეწვა: თექის დამუშავება, მინანქარზე მუშაობა და ა.შ.)
- ახალგაზრდებისათვის სტაჟირების პროგრამების უზრუნველყოფა, დასაქმების ფორუმების ხელშეწყობა და დამსაქმებელთან კომუნიკაციაში დახმარება.